გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია იცავს ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა უფლებებს

შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

558 72 36 76

union.per.ge@gmail.com

https://www.facebook.com/union.per

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ელექტრონული უფასო ტრენინგი "ხარისხი და უფლებები" ხელმისაწვდომია აქ: https://humanrights-etrain-qualityrights.coorpacademy.com/dashboard

ტრენინგ მოდულების მასალები ხელმისაწვდომია აქ: www.who.int/publications/i/item/who-qualityrights-guidance-and-training-tools

ბუკლეტი შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისათვის“ და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

Project is implemented by PER

პროექტს ახორციელებს PER

Funded by European Union

EU COVID-19 Solidarity Programme for the Eastern Partnership

Standing Together

პროექტი დაფინანსებულია ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტის და ევროკავშირის მიერ

CRPD CONVENTION ON THE RIGHTS OF PERSONS WITH DISABILITIES

რა უფლებებზე საუბრობს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია?

უნდა ვიცოდეთ ჩვენი უფლებები რომ უკეთ შეგვეძლოს მათი დაცვა

კონვენციის შესახებ

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, შემოკლებით CRPD, მიღებულ იქნა 2006 წლის 13 დეკემბერს გაეროში. საქართველოში ის მოქმედებს 2014 წლიდან.

კონვენცია ხაზს უსვამს რომ შშმ პირებს აქვთ უფლება დასაქმდნენ, ისწავლონ, მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთი ცხოვრების შესახებ თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე და იყვნენ საზოგადოების აქტიური წევრები.

კონვენციის მოქმედება ვრცელდება ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებზე, თუ ეს პრობლემა ხანგრძლივია და პირს სირთულეებს უქმნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. კონვენცია ასევე ვრცელდება იმ პირებზე, ვისაც არ აქვს შშმ პირის სტატუსი (არ გაიარა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა და არ აქვს "პენსია").

კონვენცია ხაზს უსვამს შემდეგ უფლებებს:

- **თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა**
- **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლება, და სასტიკი მოპყრობის პრევენციის მნიშვნელობა**
- **თვითგამორკვევის უფლება**, ანუ უფლება მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ როგორ სურს წარმართოს საკუთარი ცხოვრება.
- **გონივრული მისადაგება** - ეს არის სერვისის ცვლილება ან კორექტირება პირის ინდივიდუალური საჭიროებების საპასუხოდ, რომელიც არ მოითხოვს არათანაზომიერ რესურსებს იმისგან, ვინც გვთავაზობს მას, მაგრამ შესაძლებელს ხდის ადამიანისთვის, მონაწილეობა მიიღოს აქტივობაში სხვებთან თანასწორად.
- **საცხოვრებლისა და ოჯახის უფლება.** ადამიანებს აქვთ უფლება იცხოვრონ სადაც სურთ და ვისთან ერთადაც სურთ, თავიანთი ოჯახების ჩათვლით, თუ ამას მოისურვებენ. დაუშვებელია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან პანსიონატში ცხოვრება, რადგან ამ დაწესებულებებში იზღუდება პირის თავისუფლება.
- შშმ პირს აქვს იგივე უფლებები, რაც სხვა ადამიანებს **რეპროდუქციული ჯანმრთელობის** შესახებ ინფორმაციის მიღებასთან, **დაქორწინებასთან** და **შვილების ყოლასთან** დაკავშირებით.
- კონვენცია ასევე ხაზს უსვამს, რომ **შშმ ქალები და გოგონები** შეიძლება წააწყდნენ განსხვავებულ გამოწვევებს და უფრო მეტ სირთულეს, ვიდრე შშმ მამაკაცები და ბიჭები, და ამიტომ საჭიროებენ მეტ მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან.

კონვენციის თანახმად დაუშვებელია

ძალადობა, ექსპლუატაცია, სასტიკი მოპყრობა, შეურაცხყოფა, უგულვებელყოფა

ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები თანასწორნი არიან კანონის წინაშე და იგივე წვდომა უნდა ჰქონდეთ მართლმსაჯულებაზე როგორც საზოგადოების სხვა წევრებს.

არანებაყოფლობითი მკურნალობა

შშმ პირები, მათ შორის ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები არ უნდა დაექვემდებარონ მკურნალობას ან რაიმე სამედიცინო ინტერვენციას მათი ინფორმირებული თანხმობის გარეშე. შშმ პირები არ უნდა გახდნენ სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების ობიექტები თუ ამაზე არ არის მათი ინფორმირებული თანხმობა

თავისუფლების შეზღუდვა შეზღუდული შესაძლებლობის გამო

პირის დაკავება რეალურად არსებული ან სავარაუდო შეზღუდული შესაძლებლობის არსებობის გამო კონვენციის თანახმად არ დაიშვება. მათ შორის არ დაიშვება ადამიანის დაკავება ფსიქიკური პრობლემების გამო. შშმ პირთა თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მხოლოდ იმ მიზეზით და მიზნით, რაც სხვა პირთა შემთხვევაში.